



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 383

ქალაქი ქუთაისი      21      სექტემბერი      2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26-ე

სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

**მუხლი 1.** მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26-ე სხდომა მ/წლის 28 სექტემბერს, 14.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი №3/.

**მუხლი 2.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ დ ის წ ე ს რ ი გ ის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის – არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ი.გიორგაძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის  
იურიდიული განყოფილების უფროსი

2. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი შ.მურდულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბ. ჭეიშვილი  
მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006-2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

ბატონი გ.კობალიანი  
საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის  
თავმჯდომარე

ბატონი ი.ჟორჟოლიანი  
საკრებულოს აპარატის უფროსი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, /სასყიდლით, პირობებით/, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმერეთისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და  
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების  
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, /სასყიდლით, პირობებით/, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და  
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების  
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარის